საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 006092/18

06/11/2024

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს (თან ერთვის).

გთხოვთ გააცნოთ აღნიშნული ანგარიში საკრებულოს წევრებს, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე და შედეგების შესახებ აცნობოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

დანართი: დამტკიცებული აუდიტის ანგარიში – 24 ფურცელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახური /
თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

30 სექტემბერი 2024 წელი

N 30/36

ეგზ.: N1

**მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო
პროცესის მართვის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში**

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	4
	1. შესავალი	5
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
	აუდიტის საგანი	5
	აუდიტის მასშტაბი	5
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	6
	აუდიტის მეთოდოლოგია	6
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	7
	2. აუდიტის მიგნებები	8
დანართები	დანართები	21
	საკონტაქტო ინფორმაცია	24

ტერმინები და შემოკლებები

- **მერია** – ქუთაისის, ვანის, ხონის, საჩხერის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, მესტიის, ლანჩხუთის, ხაშურის, ქარელის და რუსთავის მუნიციპალიტეტების მერია.
- **მუნიციპალიტეტები** – ქუთაისის, ვანის, ხონის, საჩხერის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, მესტიის, ლანჩხუთის, ხაშურის, ქარელის და რუსთავის მუნიციპალიტეტები.
- **საკრებულო** – ქუთაისის, ვანის, ხონის, საჩხერის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, მესტიის, ლანჩხუთის, ხაშურის, ქარელის და რუსთავის მუნიციპალიტეტების საკრებულო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტი.
აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვა

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტებში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტებმა[1] ვერ უზრუნველყვეს შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა, აგრეთვე, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც მოცემული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას, შესაბამისად, 22.6%[2] და 17.8%[3] დააკლდა.

ბიუჯეტის დაგეგმვა

საბიუჯეტო განაცხადების ხარვეზები

მუნიციპალიტეტების ნაწილში საბიუჯეტო განაცხადების მომზადების პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა და შესაბამისად ბიუჯეტის პარამეტრები სათანადო ანალიზისა და დასაბუთების გარეშე ყალიბდებოდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებისათვის შედგენილი საბიუჯეტო განაცხადები არ მოიცავს საბიუჯეტო კოდექსითა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ინფორმაციებს.

მოხელეთა პროფესიული განვითარების დაგეგმვის ხარვეზები

მოხელეთა პროფესიული გადამზადების მიმართულებით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები დაგეგმილია არასათანადოდ. კერძოდ, ამ მიზნით მუნიციპალიტეტებში თანხები პრაქტიკულად არ დახარჯულა. შესაბამისად, არ არის დაცული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნა.

დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები

მუნიციპალიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი 3,070.2 ათასი ლარის ხარჯვა გამოიწვია.

ბიუჯეტის შესრულება

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ხარვეზები

მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები სრულად არ მოიცავდა საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციებსა და განმარტებებს.

საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვა

მუნიციპალიტეტებში დანერგილმა საბიუჯეტო პროცესის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემებმა ვერ უზრუნველყვეს ხანგრძლივ პერიოდში არაავთენტური დოკუმენტაციის საფუძველზე 89.7 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსების არამართლზომიერი ხარჯვის გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული მათი არასათანადო ფუნქციონირებასა და ფორმალურ ხასიათზე მიანიშნებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების მიერ 5,713.4 ათასი ლარის გადარიცხვის მართლზომიერება რისკის შემცველია.

[1] ამბროლაური, ვანი, ხონი, საჩხერე, ხონი, ხარაგაული, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, მესტია, ლანჩხუთი, ქარელი, ხაშური, რუსთავი.
[2] 2022 წელს ვერ იქნა ათვისებული 66,741.6 ათასი ლარი.
[3] 2023 წელს ვერ იქნა ათვისებული 52,762.0 ათასი ლარი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია: მერიებმა, ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, შეიმუშაონ ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტებში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას დანერგონ კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთების დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – მუნიციპალიტეტების აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქუთაისის, ვანის, ხონის, საჩხერის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, მესტიის, ლანჩხუთის, ხაშურის, ქარელის და რუსთავის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვა. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაციაც.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:[4]

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“;
- მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან.

[4] 2022-2023 წლებში მოქმედი რედაქციით.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

მუნიციპალიტეტები არიან დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავენ საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს.

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 212,265.6 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 550,707.0 ათასი ლარი; გარემოს დაცვა – 99,400.1 ათასი ლარი; განათლება – 187,520.5 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 159,906.3 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 84,105.5 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 3,749.4 ათასი ლარი.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.[5]

მუნიციპალიტეტებმა 2022-2023 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმეს შემდეგი შედეგების მიღწევა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, პარკებისა და სკვერების, გარე განათების, წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემების, ტროტუარების, ხიდების რეაბილიტაცია და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენებას.[6]

ფაქტობრივი გარემოება: ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებსა და ხაზინის[7] მონაცემებზე დაყრდნობით, 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტების შემოსულობებმა – 1,313,125.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 1,297,654.4 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წელი			2023 წელი			შესრულების ჯამი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	**606,827.7**	**625,254.3**	**103.0%**	**658,993.8**	**687,871,2**	**104.4%**	**1,313,125.5**
შემოსავლები	585,709.5	603,237.8	103.0%	623,712.2	651,499.6	104.5%	1,254,737.4
არაფინანსური აქტივების კლება	20,798.5	19,707.0	94.8%	35,281.6	36,371.5	103.1%	56,078.5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	319.7	319.7[8]	100%	0.0	0.0	–	319.7
ვალდებულებების ზრდა	0.0	1,989.8[9]	–	0.0	0.1	–	1,989.9
გადასახდელები	**691,157.9**	**603,043.4**	**87.3%**	**765,407.1**	**694,611.0**	**90.8%**	**1,297,654.4**
ხარჯები	393,329.2	371,992.4	94.6%	457,996.5	440,032.9	96.1%	812,025.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	295,000.6	228,259.0	77.4%	296,002.5	243,240.5	82.2%	471,499.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	0.0
ვალდებულებების კლება	2,828.1	2,792.0	98.7%	11,408.1	11,337.6	99.4%	14,129.6
ნაშთის ცვლილება	**-84,330.2**	**22,210.9**	**–**	**-106,413.3**	**-6,739.8**	**–**	–

[5] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8, 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

[6] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1; მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

[7] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა.

[8] რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური შპს-ს გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

[9] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხი.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების თანახმად, შემოსავლების შესრულებამ 2022 წელს – 103.0%, ხოლო 2023 წელს – 104.4% შეადგინა. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, გრანტები და სხვა შემოსავლები გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს გაზრდილი შემოსავლების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტებში ასახვა. მაგალითად: 2023 წელს ფოთის მუნიციპალიტეტის შემოსავლების შესრულებამ 129.6% შეადგინა. აღნიშნული გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2023 წლის 17 ივლისს მუნიციპალიტეტს სხვა შემოსავლების სახით ჩაერიცხა 9,019.9 ათასი ლარი.[10] მიუხედავად ამისა, მერიამ ისე დაასრულა კალენდარული წელი, რომ ვერ უზრუნველყო მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვა.

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტებმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულეს. აღნიშნული მუხლის შესრულებამ 2022 წელს – 77.4%, ხოლო 2023 წელს – 82.2% შეადგინა. კერძოდ, მერიებმა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისეს ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა ვერ მიიღეს პროგრამებით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა წყალმომარაგების, საგზაო ინფრასტრუქტურის, პარკებისა და სკვერების მოწყობის, წყალანირების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ 15-დან 9 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შესრულება 80%-ზე დაბალია.[11]

გარდა დაგეგმილი და აუთვისებელი თანხებისა, მუნიციპალიტეტებს 2022-2023 წლებში თავისუფალი ნაშთების სახით გააჩნდათ არსებითი მოცულობის თანხები, კერძოდ:

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაშთებმა შეადგინა 86,508.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტებმა დაგეგმეს ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილის – 84,330.2 ათასი ლარის გამოყენება.[12] მიუხედავად ამისა, 2022 წელს ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 22,210.9 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა 108,719.5 ათასი ლარის ნაშთები. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 84,300.0 ათასი ლარი – სხვადასხვა გარდამავალი და დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტის შედეგად წარმოიქმნა, ხოლო 24,419.5 ათასი ლარი – თავისუფალი ნაშთებია.[13]

მუნიციპალიტეტების 2023 წლის ბიუჯეტებით განსაზღვრული იყო 2022 წლის ბოლოს დაგროვებული ნაშთების მნიშვნელოვანი ნაწილის – 106,413.3 ათასი ლარის გამოყენება.[14] 2023 წელს ნაშთები შემცირდა და ფულადი სახსრების

[10] სახელმწიფო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

[11] 2022 წელი: ზუგდიდი - 62.4%, სენაკი - 75.6%, ფოთი - 75.8%, ქუთაისი - 76.1%, საჩხერე - 65.1% - საჩხერის მუნიციპალიტეტში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ შესრულების დაბალი მაჩვენებელი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2022 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის განკარგულებით საჩხერის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისათვის გამოიყო 10.0 მლნ ლარი, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა 2022 წლის 30 დეკემბერს; 2022 წლის თერჯოლა - 77.6%, რუსთავი - 72.6%, ლანჩხუთი - 79.8%; 2023 წელი: ქუთაისი - 67.7%, საჩხერე - 63.7%, ხაშური - 79.4%.

[12] საერთოდ არ დაგეგმილა 2,178.4 ათასი ლარის გამოყენება.

[13] წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

[14] საერთოდ არ დაგეგმილა 2,306.2 ათასი ლარის გამოყენება.

	გამოყენებამ 6,739.8 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრისთვის დაფიქსირდა 101,979.7 ათასი ლარის ნაშთები. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 72,600.7 ათასი ლარი წარმოიშვა სხვადასხვა გარდამავალი და წლის ბოლომდე დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტის გამო, ხოლო დანარჩენი 29,379.0 ათასი ლარი – თავისუფალი ნაშთებია.[15] (იხ. დანართი №1).
დასკვნა	მუნიციპალიტეტებმა 2022-2023 წლებში ვერ უზრუნველყვეს შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტებში ასახვა, ასევე, ბიუჯეტებით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვეს არსებითი მოცულობის ფულადი ნაშთები (მათ შორის, თავისუფალი ნაშთები). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტების განკარგვაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.
რეკომენდაცია	მერიებმა, ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, შეიმუშაონ ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტებში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას დანერგონ კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთების დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.
2.2 ბიუჯეტის დაგეგმვა **2.2.1 საბიუჯეტო განაცხადების ხარვეზები**	**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.[16] მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულები იწყებენ მუშაობას საბიუჯეტო განაცხადზე პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ფარგლებში მოწონებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის მიხედვით. არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, მუნიციპალური სამსახურები საბიუჯეტო განაცხადის შევსებულ ფორმებს, დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში.[17] საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას: გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით, ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას, ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსულობების, ამ წყაროდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ და სხვ.[18]

[15] წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.
[16] საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 3.
[17] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
[18] საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 4.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტების მიერ საბიუჯეტო განაცხადების მომზადების პროცესი ხასიათდება ნაკლოვანებებით და არაერთგვაროვანი მიდგომით, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტების მერიები,[19] თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სტრუქტურულ ერთეულებს (სამსახურებს) საბიუჯეტო განაცხადს არ უგზავნიდნენ. შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციები და სტრუქტურული ერთეულები საბიუჯეტო განაცხადს არ ადგენდნენ;[20]
- მუნიციპალიტეტების[21] მერიები საბიუჯეტო ორგანიზაციებს საბიუჯეტო განაცხადებს უგზავნიდნენ ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითების გარეშე;
- მუნიციპალიტეტებში[22] საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი საბიუჯეტო განაცხადები არ მოიცავდა ინფორმაციას გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის ა(ა)იპ-ების მიერ ნებისმიერი წყაროდან მიღებული შემოსულობების, ამ წყაროდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების ნაწილში საბიუჯეტო განაცხადების მომზადების პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა და შესაბამისად ბიუჯეტის პარამეტრები სათანადო ანალიზისა და დასაბუთების გარეშე ყალიბდებოდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებისათვის შედგენილი საბიუჯეტო განაცხადები არ მოიცავს საბიუჯეტო კოდექსითა და პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ინფორმაციებს.

2.2.2 მოხელეთა პროფესიული განვითარების დაგეგმვის ხარვეზები

კრიტერიუმი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად,[23] მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ ერთ პროცენტს.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალური ბიუჯეტების 2022-2023 წლების მაჩვენებლების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- 12-მა მუნიციპალიტეტმა პროფესიული განვითარებისათვის ასიგნებები გამოყო შრომის ანაზღაურების 0.1–0.79%-ის ფარგლებში, რაც ნაკლებია კანონმდებლობით დადგენილ მოცულობაზე. აღნიშნული დაფინანსება მხოლოდ 3-მა მუნიციპალიტეტმა[24] დაგეგმა კანონმდებლობის შესაბამისად.

[19] 2022-2023 წლებში ხონის მუნიციპალიტეტი და 2023 წელს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს საბიუჯეტო განაცხადს არ უგზავნიდა; ხოლო ქარელის, სენაკის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები სტრუქტურულ ერთეულებს (სამსახურებს) საბიუჯეტო განაცხადს არ უგზავნიდნენ.

[20] ზუგდიდის, ხონის და მესტიის მუნიციპალიტეტები. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტმა გაუგზავნა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები დაფუძნებულ იურიდიული პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს, მათ საბიუჯეტო განაცხადი არ მოუმზადებიათ.

[21] სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ გაგზავნილ საბიუჯეტო განაცხადის ფორმებში ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები არ არის მითითებული, ხოლო ფოთის, ლანჩხუთის, ქარელის, ქუთაისის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში არ არის მითითებული მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

[22] ლანჩხუთის, მესტიის, ხარაგაულის, სენაკის, ქარელის, ხაშურის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. საჩხერის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო ორგანიზაციები ცალკე დანართად აგზავნიან ინფორმაციას საკუთარი შემოსავლების შესახებ.

[23] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101.

[24] რუსთავის, ქუთაისის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

	) 12-მა მუნიციპალიტეტმა არ აითვისა მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები. მათ შორის, 2 მუნიციპალიტეტისათვის მუხლის შესრულების მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია.[25]
დასკვნა	მოხელეთა პროფესიული გადამზადების მიმართულებით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები დაგეგმილია არასათანადოდ. მუნიციპალიტეტები მოხელეთა პროფესიულ განვითარებას არ მიიჩნევდნენ პრიორიტეტულ მიმართულებად და სათანადოდ არ აფინანსებდნენ. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნას.
2.2.3 დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები	**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.[26] **ფაქტობრივი გარემოება:** 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებს დელეგირებული ჰქონდათ ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი.[27] აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტებმა მიიღეს, სულ – 23,209.9 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებმა გამოიყენეს საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯეს 3,070.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები გამოყენებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამხედრო აღრიცხვის, ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის პროგრამის და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის დასაფინანსებლად, რომელთა დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ წინასწარ. მუნიციპალიტეტებს დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუმართავთ. ამასთანავე, არ უმსჯელიათ შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განეხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.
დასკვნა	მუნიციპალიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია.
2.3 ბიუჯეტის შესრულება **2.3.1 ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ხარვეზები**	**კრიტერიუმი:** საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით; მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და

[25] 2022 წელს ფოთის მუნიციპალიტეტში - 21% ; 2023 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტში - 58%.

[26] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 17, პუნქტი 2.

[27] საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა, სამხედრო აღრიცხვა და მობილიზაცია, მოსწავლეთა ტრანსპორტირება, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, სარიტუალო მომსახურება.

საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა, წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს განმარტებებს, თუ პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება; წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.[28]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების ბიუჯეტების წლიური შესრულების ანგარიშებისა და სახაზინო მონაცემების შესწავლით გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზი. კერძოდ:

- 7 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროგრამების შესრულების მაჩვენებლები 11%-დან 65%-მდე მერყეობს (იხ. დანართი №2). მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები არ მოიცავს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას;
- მუნიციპალიტეტის[29] მერიამ ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები საკრებულოს წარუდგინა დაგვიანებით.[30]
- მუნიციპალიტეტების[31] ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ მოიცავდა ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული რამდენიმე პროგრამის[32] აღწერისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები ზოგ შემთხვევაში არ მოიცავდა საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციებსა და განმარტებებს.

2.3.2 საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას.[33] ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შექმნის/დანერგვის მიზანია: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება; საბიუჯეტო რესურსების არამართლზომიერი ხარჯვის თავიდან არიდება. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ ყველა

[28] საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87.
[29] ხონის მუნიციპალიტეტი.
[30] 2022 წელი: პირველი კვარტლის ანგარიში ნაცვლად არაუგვიანეს 30 აპრილისა, წარდგენილია 7 ივნისს; მეორე კვარტლის ანგარიში ნაცვლად არაუგვიანეს 31 ივლისისა, წარდგენილია 19 ოქტომბერს; წლიური ანგარიში, ნაცვლად 28 თებერვლისა, წარდგენილია 13 აპრილს. 2023 წელი: პირველი კვარტლის ანგარიში ნაცვლად არაუგვიანეს 30 აპრილისა, წარდგენილია 4 მაისს; მეორე კვარტლის ანგარიში ნაცვლად არაუგვიანეს 31 ივლისისა, 17 აგვისტოს; წლიური ანგარიში, ნაცვლად 28 თებერვლისა, წარდგენილია 8 აპრილს.
[31] ქარელის და ხონის მუნიციპალიტეტები.
[32] ქარელის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამები: 0302 - დასუფთავება და ნარჩენების გატანა; 0402 - სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება; 0502 - კულტურის სფეროს განვითარება; 0602 - მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა და სხვ. ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამები: 0602 - სოციალური პროგრამები; 0603 - უფასო კვებით უზრუნველყოფა; 0502 - კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება; 0504 - ახალგაზრდობის მხარდაჭერა და სხვ.
[33] საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 5.

სტრუქტურულ ქვედანაყოფსა და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.[34]

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტების და მათ მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების საბიუჯეტო დაფინანსების პროცესის შესწავლისას გამოვლინდა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან არსებითი მოცულობის თანხები დაიხარჯა არამართლზომიერად, კერძოდ:

- 2022 წელს ფოთის მუნიციპალიტეტიდან საბიუჯეტო სახსრები სისტემატურად ირიცხებოდა მერიის თანამშრომლის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე. გადარიცხვების საფუძვლად მითითებული/წარდგენილი იყო ხელფასის უწყისები, ხოლო თანხები ირიცხებოდა „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლით. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დოკუმენტები არ იყო ავთენტური. კერძოდ, ხელფასის უწყისებში შეყვანილი იყვნენ მერიასა და ა(ა)იპ-ში დასაქმებული პირები, რომლებსაც შესაბამისი თვის კუთვნილი ხელფასი უკვე აღებული ჰქონდათ. ამასთანავე, თანხების მიმღების ანგარიშის ნაცვლად გადარიცხვებზე მითითებული იყო მერიის საბუღალტრო განყოფილების აღრიცხვის უფროსის პირადი საბანკო ანგარიშები. გამოვლინდა აღნიშნული თანამშრომლის 3 საბანკო ანგარიში, რომლებზეც 2022 წელს 33 უკანონო ტრანზაქცია განხორციელდა და გადარიცხულმა თანხამ ჯამში – 36.2 ათასი ლარი შეადგინა. აგრეთვე გამოვლინდა, რომ 2022-2023 წლებში კონკრეტული ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე განხორციელდა 24 საეჭვო ტრანზაქცია, თანხით – 45.4 ათასი ლარი. გადარიცხვების საფუძვლად მითითებულია თანამდებობრივი სარგო, თუმცა მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების თანახმად, ფიზიკური პირი არ ირიცხება მუნიციპალიტეტის შტატით ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საშტატო ნუსხას განსაზღვრავს მერია და ამტკიცებს საკრებულო. მერიის სამსახურების საქმიანობას ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულების უფროსები. ბუღალტრის მიერ ინიცირებულ საგადახდო დავალებას ადასტურებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი. მიუხედავად დანერგილი კონტროლის მექანიზმებისა, უკანონო ტრანზაქციები, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ვერ იქნა იდენტიფიცირებული. გადარიცხვები კონტროლის განმახორციელებელი პირების მიერ დადასტურებულია, რაც მათ მიერ ფუნქცია-მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს;
- 2022 წელს რუსთავის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ-ებიდან[35] საბიუჯეტო სახსრები არამართლზომიერად ირიცხებოდა არაუფლებამოსილი პირების პირად ანგარიშებზე. კერძოდ, 2022 წელს 8 უკანონო ტრანზაქცია განხორციელდა და გადარიცხულმა თანხამ ჯამში – 4.8 ათასი ლარი შეადგინა.[36] მოცემულ ფაქტთან

[34] საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

[35] ა(ა)იპ – ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი და ა(ა)იპ – რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება - ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა.

[36] მათ შორის: ა(ა)იპ – რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ბუღალტრის 2 საბანკო ანგარიშზე 2,378.9 ლარი, ხოლო ა(ა)იპ – რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება - ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკიდან კერძო კომპანიის საბანკო ანგარიშზე 2,460.0 ლარი გადაირიცხა.

დაკავშირებით, რუსთავის მუნიციპალიტეტმა განახორციელა სამართლებრივი რეაგირება და მიმართა[37] შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს;

- 2022-2023 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ-იდან[38] საბიუჯეტო სახსრები არამართლზომიერად ირიცხებოდა არაუფლებამოსილი პირის პირად ანგარიშზე.[39] კერძოდ, 2022 წელს – 3, ხოლო 2023 წელს – 1 უკანონო ტრანზაქცია განხორციელდა და გადარიცხულმა თანხამ ჯამში – 3.3 ათასი ლარი შეადგინა;
- 2022 წელს ქარელის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მერიასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებულ შესყიდვის ხელშეკრულებაში, მიმწოდებელს მითითებული ჰქონდა სხვა კომპანიის საბანკო ანგარიში. ხაზინის ამონაწერის თანახმად, მერიის მიერ 2022 წელს განხორციელდა 2 ტრანზაქცია და ჯამში გადაირიცხა 103.3 ათასი ლარი, იმ კომპანიაზე, რომელიც არ იმყოფებოდა სამართლებრივ ურთიერთობაში მუნიციპალიტეტთან;
- 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებში[40] 723.5 ათასი ლარის 228 ტრანზაქცია შესრულებულია ისეთ 118 საბანკო ანგარიშზე, რომლებიც არ ეკუთვნოდათ სახაზინო მონაცემებში მითითებულ მიმღებ პირებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დასაქმებულებმა ითხოვეს საკუთარი ხელფასი ჩარიცხულიყო თანამშრომლის/მინდობილი პირის ანგარიშზე, სოციალური დახმარებები ჩარიცხულიყო ოჯახის წევრის ანგარიშზე და სხვ;[41]
- აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებში 4,886.6 ათასი ლარის 7,689 ტრანზაქცია შესრულებულია ისეთ 1681 საბანკო ანგარიშზე, რომელიც 2024 წლის 12 ივლისის მდგომარეობით გაუქმებულია და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატის ფარგლებში ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება (იხ. დანართი №3). ვინაიდან აუდიტის ფარგლებში გამოვლინდა საბანკო ანგარიშებზე თანხების არამართლზომიერი გადარიცხვების ფაქტები, დახურულ ანგარიშებთან დაკავშირებით შესაძლოა არსებობდეს რისკის შემცველი გარემოებები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტებში დანერგილმა საბიუჯეტო პროცესის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემებმა ვერ უზრუნველყვეს ხანგრძლივ პერიოდში არაავთენტური დოკუმენტაციის საფუძველზე 89.7 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსების არამართლზომიერი ხარჯვის გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული მათ არასათანადო ფუნქციონირებასა და ფორმალურ ხასიათზე მიანიშნებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების მიერ 5,713.4 ათასი ლარის გადარიცხვის მართლზომიერება რისკის შემცველია.

[37] 2024 წლის 24 ივნისს და 2024 წლის 1 აგვისტოს მიმართა საქართველოს პროკურატურის ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას.
[38] ა(ა)იპ – ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი.
[39] ა(ა)იპ – ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანის ფინანსური რესურსების მართვის მენეჯერის საბანკო ანგარიშზე.
[40] ქუთაისის, ვანის, ხონის, საჩხერის, თერჯოლის, ხარაგაულის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, მესტიის, ლანჩხუთის, ხაშურის და რუსთავის მუნიციპალიტეტები.
[41] მიმღებ პირებად მითითებულია რელიგიური ორგანიზაციები, თუმცა საბანკო ანგარიშები ეკუთვნით ფიზიკურ პირებს, სავარაუდოდ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სხვ.

2.5 სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.5.1 მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დაფინანსების დაგეგმვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.[42] შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძველზე, ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად მერია გაიანგარიშებს ა(ა)იპ-ების ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ოდენობას. ა(ა)იპ-ების სუბსიდირების მოცულობა და მომუშავეთა საჭიროება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფსა (ერთეულსა) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.[43]

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტები აფინანსებდნენ მათ მიერ დაფუძნებულ 170 ა(ა)იპ-ს, რომლებშიც 2022 წელს დასაქმებული იყო 22,908, ხოლო 2023 წელს – 22,793 პირი. სუბიექტების შენახვაზე დახარჯულია სულ 433,222.2 ათასი ლარი,[44] რაც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელების 33%-ია.

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სუბიექტების საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესში არსებული შემდეგი ხარვეზები: დაფუძნებული იურიდიული პირების ფუნქციები სათანადოდ არ არის დასაბუთებული, დაფუძნებულ სუბიექტებში საშტატო განრიგი არ არის რაციონალური და დასაქმებულებს არ აქვთ სათანადო ფუნქციური დატვირთვა, საბიუჯეტო სახსრები არარაციონალურად იხარჯება. კერძოდ:

- რუსთავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – რუსთავის კორპუსი, რომელიც 2022-2023 წლებში დაფინანსდა 13,305.4 ათასი ლარით. ა(ა)იპ-მა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისებაზე დახარჯა 1,699.4 ათასი ლარი. ვერ ხერხდება შეფასება (თვლადი-გაზომვადი კრიტერიუმებით) დაფინანსების მიზნის და მიზანშეწონილობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი პრაქტიკა არ არის დანერგილი;
- რუსთავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – რუსთავის მუნიციპალური არქივი, რომლის მიერ მიღებულმა დაფინანსებამ 2022-2023 წლებში 240.6 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები, რატომ არის საჭირო ორგანიზაციის არსებობა ცალკე ა(ა)იპ-ად,[45] როდესაც სხვა

[42] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტები: 1 და 2.
[43] საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“: მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.
[44] 2022 წელს - 199,156.9 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 234,065.3 ათასი ლარი.
[45] ა(ა)იპ-ში მუშაობს 8 პირი, მათ შორის 1 დირექტორი, 1 ბუღალტერი, 1 განყოფილების უფროსი, 1 დამლაგებელი, 4 სპეციალისტი მუშაობს საარქივო საქმიანობით.

მუნიციპალიტეტებში არქივის წარმოებას ახორციელებენ მერიის ადმინისტრაციული სამსახურები;

- ფოთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი, რომლის სუბსიდიამ 2022-2023 წლებში 2,577.4 ათასი ლარი შეადგინა. ა(ა)იპ-ში 2022 წელს დასაქმებული იყო სულ – 93, ხოლო 2023 წელს – 91 პირი. ა(ა)იპ უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებას, რომელსაც 2022 წელს ემსახურებოდა 32, ხოლო 2023 წელს – 30 პირი. გარდა ამისა, ა(ა)იპ-ში ირიცხება 61 სპეციალისტი,[46] რომელთა ხელფასებზე დაიხარჯა 707.1 ათასი ლარი. დასაქმებულთა საქმიანობის შესწავლით დგინდება, რომ მათი ფუნქციები დუბლირებულია სახელმწიფო ორგანიზაციების[47] და მუნიციპალური სამსახურების დებულებებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებთან. ა(ა)იპ-მა ვერ წარმოადგინა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტური მტკიცებულებები;
- 2022-2023 წლებში ხონის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის მიზნით, ფუნქციონირებენ: ა(ა)იპ – ხონის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი და ა(ა)იპ – ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი. აღნიშნულ პერიოდში ა(ა)იპ-ების სუბსიდიამ 572.2 ათასი ლარი შეადგინა. ორივე ორგანიზაციაში დასაქმებულია სულ 28 თანამშრომელი.[48] აღსანიშნავია, რომ ორივე იურიდიული პირი ერთნაირ მომსახურებას სთავაზობს ბენეფიციარებს. ორივე მდებარეობს ქალაქ ხონში. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა თავისი მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეუცვლელად, შესაძლებელია განხორციელდეს ერთი ორგანიზაციის მიერ. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რატომ არის უფრო ეფექტიანი აღნიშნული საქმიანობისათვის ორი ა(ა)იპ-ის ფუნქციონირება და ორმაგი ადმინისტრაციული ხარჯის გაწევა. 2022-2023 წლებში ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებაზე 152.6 ათასი ლარი დაიხარჯა;
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მუნიციპალურ[49] ა(ა)იპ-ში ზოგიერთი დასაქმებულის ფუნქცია მოვალეობები არ არის კონკრეტული, ან ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვა არ დადასტურდა.[50] კერძოდ: დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და

[46] 2022-2023 წლებში.

[47] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სახლი, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

[48] მათ შორის: მზარეულის, მიმტანისა და დამლაგებლის ფუნქცია აქვს 11 პირს. დანარჩენი პირები დასაქმებული არიან ა(ა)იპ-ების ადმინისტრაციებში: დირექტორები, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებლები, სპეციალისტები, სოციალური მუშაკები.

[49] ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი, ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება, ა(ა)იპ – სენაკის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი, ა(ა)იპ – ხაშურსერვისი; ა(ა)იპ – ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლისა და გამწვანების კომპანია.

[50] მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს ზოგიერთი დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ დოკუმენტური მტკიცებულებები.

მართვის ცენტრში 22 სპეციალისტის,[51] ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებაში – 12 სპეციალისტის,[52] ა(ა)იპ – სენაკის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრში – 10 სპეციალისტის,[53] ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლისა და გამწვანების კომპანიაში“ – 1 სპეციალისტის;[54] ა(ა)იპ – „ხაშურსერვისში“ – 3 სპეციალისტის[55] მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული დასაქმებულების ხელფასებზე 2022-2023 წლებში დაიხარჯა 339.3 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი, ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების დაგეგმვაში არსებული და კადრების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ. გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მსგავსი შემთხვევებიც, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებული სისტემური ხარვეზების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსების საბიუჯეტო პროცესი ხორციელდებოდა ხარვეზებით და არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება. კერძოდ, თანხები დახარჯულია არარაციონალურად; მუნიციპალიტეტებმა ვერ წარმოადგინეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა ობიექტური საჭიროებით არის განპირობებული დუბლირებული ფუნქციისა და მსგავსი პროფილის ა(ა)იპ-ების დამოუკიდებლად არსებობა; სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურა/საშტატო განრიგი და დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობები არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2.5.2 უზუსტობები დამტკიცებულ ბიუჯეტებში

კრიტერიუმი: საბიუჯეტო კოდექსის თანახმად,[56] ბიუჯეტის პროექტი მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს, ინფორმაციას ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ და სხვ. აღნიშნული მონაცემები (რიცხვები) ბიუჯეტის სხვადასხვა ფორმაში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად, ტოლი სიდიდეებით.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტების დამტკიცებული ბიუჯეტები შემოწმდა სისრულისა და სიზუსტის მიხედვით. გამოვლინდა, რომ 3 მუნიციპალიტეტის[57] დამტკიცებული ბიუჯეტებში მონაცემები არასრული ოდენობით და არასრული თანხით იყო წარმოდგენილი. კერძოდ:

- 2022 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტის გადასახდელებში – ვალდებულებების კლება 255.4 ათასი ლარი არ არის ასახული;

[51] ფუნქცია-მოვალეობა: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების და ფოლკლორის სხვა დარგის წარმომადგენელთა მობიება.
[52] ფუნქცია-მოვალეობა: სასპორტო წრეებში სასწავლო პროცესის ზედამხედველობა.
[53] 8 სპეციალისტი - გარე განათების, სანიაღვრე არხების, სანაგვე ურნების მდგომარეობის მონიტორინგი, 1 სპეციალისტი - დეკორატორი, 1 შესყიდვების სპეციალისტის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტის დოკუმენტზე ხელმოწერით.
[54] ფუნქცია-მოვალეობაა: სამსახურის წესდებიდან გამომდინარე ყველა საქმიანობის შესრულება.
[55] ზედამხედველობა დასუფთავების სფეროში.
[56] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, 78.
[57] ხაშურის, ქარელის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები.

- 2022 წლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ბალანსი შედგენილი იყო – 100.0 ათასი ლარის სხვაობით.[58]
- 2022 წლის ქარელის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსულობების ჯამი არ მოიცავს არაფინანსური აქტივების კლებას – 308.4 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, 2022-2023 წლების ბიუჯეტების შემოსულობები და გადასახდელები არ მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებისა და საკუთარი სახსრების შესახებ.

დასკვნა

საბიუჯეტო პროცესის მართვაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტები შეიცავდა ტექნიკურ უზუსტობებს.

2.5.3 უარყოფითი შედეგით დასრულებული სასამართლო დავები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმები

ფაქტობრივი გარემოება: თვითმმართველი ერთეულების მიერ წარმოებული სასამართლო დავები უარყოფითი შედეგით დასრულდა 11 მუნიციპალიტეტში.[59] კერძოდ:

- გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს შემცირების გამო, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებმა[60] გადაიხადეს 1,026.3 ათასი ლარი, მათ შორის 25.6 ათასი ლარი შეადგენს სასამართლო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯს;
- 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებმა[61] სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე[62] აანაზღაურეს სამსახურიდან განთავისუფლებული პირების იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ხარჯები, სულ – 166.5 ათასი ლარი;
- კანონშეუსაბამოდ გაცემული სამშენებლო ნებართვის გამო, 2022 წელს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტმა[63] ფიზიკური პირის სასარგებლოდ გადაიხადა 21.9 ათასი ლარი.[64]

გარდა ამისა, 6 მუნიციპალიტეტი[65] დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო. კერძოდ:

- 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტების[66] საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაიხარჯა 22.3 ათასი ლარი;

[58] ბალანსის მთლიან სალდოსა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების სხვაობა არ არის ნული.
[59] ქუთაისის, საჩხერის, ხარაგაულის, ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, მესტიის, რუსთავის, ამბროლაურის, ხონის და ხაშურის მუნიციპალიტეტები.
[60] ქუთაისის, საჩხერის, ხარაგაულის, ფოთის, სენაკის, ამბროლაურის, ხონის და ხაშურის მუნიციპალიტეტები.
[61] რუსთავის, ზუგდიდის, სენაკის და მესტიის მუნიციპალიტეტები.
[62] მოსარჩელეებმა სასამართლოში გაასაჩივრეს ბრძანებები, სამსახურიდან მათი განთავისუფლების შესახებ.
[63] ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.
[64] მშენებლობის პროექტის მომზადების, მშენებლობისა და შენობის დემონტაჟის ღირებულება.
[65] ზუგდიდის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მესტიის, ხაშურის, სენაკის მუნიციპალიტეტები.
[66] ზუგდიდის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მესტიის, ხაშურის, სენაკის მუნიციპალიტეტები.

- 2022 წელს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღები. გამოვლენილი დარღვევის გამო,[67] 2023 წელს მუნიციპალიტეტმა[68] გადაიხადა 20.5 ათასი ლარის ჯარიმა.

დასკვნა

მმართველობით პროცესში მუნიციპალიტეტების მიერ არასათანადოდ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დიდი ოდენობით თანხები, მათ შორის დამატებითი მომსახურების ხარჯები ანაზღაურდა.

აუდიტორები	**ხელმოწერა**
გიორგი შურღაია მთავარი აუდიტორი	
ქრისტინე ეკალაძე უფროსი აუდიტორი	
გიორგი დარახველიძე აუდიტორი	
ანა ზაქარაშვილი აუდიტორი	
ანი ყიფიანი აუდიტორი	
გვანცა იორდანიშვილი აუდიტორი	
გაგა ჩანქსელიანი აუდიტორი	

[67] არ იყო დანერგილი HACCP -ის სტანდარტის სისტემა.
[68] ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

დანართები

დანართი №1

ინფორმაცია 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტების ნაშთების შესახებ (ათასი ლარი)

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	ნაშთი 01.01.2023	მათ შორის, თავისუფალი ნაშთი	ნაშთი 01.01.2024	მათ შორის თავისუფალი ნაშთი
1	ამბროლაური	2,716.8	292.3	1,805.5	372.4
2	ხონი	1,796.7	529.1	2,385.1	105.7
3	ვანი	1,271.5	248.5	1,687.1	17.2
4	თერჯოლა	3,713.1	418.1	2,862.2	14.4
5	ხარაგაული	1,763.1	827.6	2,965.8	1,494.8
6	საჩხერე	17,616.3	4,979.5	16,247.2	2,677.0
7	ქუთაისი	23,289.1	273.0	12,311.4	2,221.3
8	ზუგდიდი	8,277.5	246.5	4,862.4	197.2
9	სენაკი	5,840.3	4,523.8	3,602.6	1,595.0
10	ფოთი	4,721.5	1,508.1	14,545.1	4,068.6
11	მესტია	3,540.9	0.0	2,220.7	0.0
12	ლანჩხუთი	5,241.5	2,757.6	6,939.4	5,093.6
13	ქარელი	4,482.9	2,373.3	5,082.0	2,829.7
14	ხაშური	5,967.8	756.0	7,645.9	1,294.6
15	რუსთავი	18,480.5	4,686.1	16,817.3	7,397.5
სულ		**108,719.5**	**24,419.5**	**101,979.7**	**29,379.0**

დანართი №2

ინფორმაცია 2022-2023 წლებში ზოგიერთი პროგრამის შესრულების შესახებ (ათასი ლარი)

წელი	მუნიციპალიტეტი	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	დაზუსტებული ასიგნება	დახარჯული თანხა	შესრულება (%)
2022	ზუგდიდი	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8,975.4	5,837.5	65%
2022	ზუგდიდი	01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	200.0	44.0	22%
2022	საჩხერე	04 04	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	238.8	127.8	53%
2022	ქარელი	02 03	გარე განათება	1,175.2	755.3	64%
2022	ქარელი	03 01	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში	754.1	111.0	15%
2022	სენაკი	02 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	1,614.3	810.3	50%
2022	ქუთაისი	02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	12,344.9	6,135.3	50%
2023	ქუთაისი	02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	10,893.9	6,011.5	55%
2023	ქუთაისი	02 10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	738.3	410.3	56%
2023	ქუთაისი	03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	6,046.4	3,446.9	57%
2023	საჩხერე	02 06	მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,608.7	388.3	24%
2023	ქარელი	02 02	წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,404.8	1,512.3	63%
2023	ქარელი	02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	236.0	23.1	10%
2023	ქარელი	02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	299.0	173.4	58%
2023	ქარელი	04 01	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	296.7	182.8	62%
2023	სენაკი	02 09	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	146.8	37.5	26%
2023	ხონი	07 03	მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება	1,422.0	641.0	45%
2023	ხარაგაული	02 02	წყლის სისტემის განვითარება	724.1	78.2	11%

დანართი №3

ინფორმაცია 2022-2023 წლებში დახურული საბანკო ანგარიშების შესახებ

№	მუნიციპალიტეტის დასახელება	დახურული საბანკო ანგარიშების რაოდენობა	ტრანზაქციების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
1	ამბროლაური	28	104	59,434.6
2	ხონი	30	111	52,699.4
3	ვანი	48	241	101,748.5
4	თერჯოლა	91	187	78,480.6
5	ხარაგაული	50	182	53,033.8
6	საჩხერე	24	94	36,643.7
7	ქუთაისი	276	838	829,996.6
8	ზუგდიდი	174	783	487,708.9
9	სენაკი	141	861	456,697.3
10	ფოთი	494	2,116	1,082,700.3
11	მესტია	39	193	162,836.2
12	ლანჩხუთი	124	1,057	419,422.9
13	ქარელი	13	76	24,284.9
14	ხაშური	44	267	249,663.9
15	რუსთავი	105	579	791,208.9
სულ		**1,681**	**7,689**	**4,886,560.5**

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE